№1053 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის მესამე პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 15 მაისის №5/28196 გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში, სააკაძის მოედანზე, საბურთალოს ქუჩაზე, მიწისქვეშა გასასვლელში მდებარე (ნაკვეთი №28/15), სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 238.56 კვ.მ ფართის, მის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.13.028.015), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**